33
1919/2

ფასი 6 მანეთი.

№ 6.

ეშმაკის მათრახი

კვირა,
დეკემბრის 28
1919 წ.

სამხრეთისკენ.

დენიკინი. როგორც ვატყობ, ამ ბოლოს დროს ბოლშევიკები ცოტა არ იყოს, მაწუხებენ. მოდი, სამხრეთისაკენ მივაწვები!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარდიელის დღიურიდან.

წერილი II.

ამხანაგებო! თუ თქვენ მეხსიერება არ გღალატობთ, ჯერ დავიწყებული არ გექნებათ ჩემი პირველი გაბედული გამოსვლა გვარდიელობის ასპარეზზე. ამის შესახებ მე თქვენ მოგახსენეთ დაოფარავთ და გადაუჭარბებლად ჩემს პირველ წერილში ამ ორი კვირის წინათ.

ამ წერილში მე მსურს აგიწეროთ თქვენ, ახალგაზრდა გვარდიელებს, და აგრეთვე რეგულიარულ ჯარისკაცებს, ისტორია ჩემი თანდათანობითი განვითარებისა.

პირველ ყოვლისა მე აჩრდილივით თანამდევდა ერთი მძიმე თეორიული საკითხი, სახელდობრ საკითხი მილიტარიზმში გადავარდნისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, შეტოპვისა. გუშინდელ ბანკეტზე პატივცემულ თამადის, ნიკოს მიერ წარმოთქმულ სიტყვისა არ იყოს დღეს ყველამ იცის,, რომ: იარღი უნდა ეპყრას მეომარს და არა მეომარი ეპყრას იარღს. რომ ამ უკანასკნელ უკიდურესობაში არ ჩავვარდნილიყავი, მე ყოველთვის მაგრათ მეჭირა თოფი ხელში და არასოდეს თოფს არა ვჭერივარ. ამ მხრივ ჩემი განვითარების დაჩქარებას ხელს უწყობდა კიდევ ერთი გარეშე მიზეზი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ვალოდია სულაქველიძე მაშინ ჯერ კიდევ არ იყო თფილისის მილიციის უფროსად დანიშნული და თფილისის ქუჩებში არა თუ თოფით, პალტოთი და საათით გამოსვლაც საშიში იყო. ხუმრობა საქმე ხომ არ გგონიათ, სავარჯიშოთ მიმავალს შეგვხდეს ვინმე ქურდი ლაწირაკი და წაგართვას თოფი. მოდი და უყარე კაკალი! სიკვდილით დასჯა მაშინ კანონით აკრძალული იყო და თუნდაც არ ყოფილიყო, ერთი ვინტოვკის გულისთვის კაცს ხომ არ მოვკლავდი. დიახ, დღეს თოფიან გვარდიელს უშიშრათ შეუძლია სიარული ქალაქის ქუჩებში. მაგრამ მაშინ ეგრე არ იყო და როცა სავარჯიშოთ მამადავითის მთაზე სიარული განვიზრახე, გერასიმეც თან ავიყოლიე, უმთავრესად იმ მიზნით, რომ ქუჩებში ჩვენთვის თოფი არავის წაერთმია და ამით ვარჯიშობის საშუალება არ მოესპო. გერასიმეც საჭიროთ სცნობდა ამ შეკავშირებულ გამოსვლას.

ნაწვიმარი ნაშუადღევი იყო, როცა მე და ჩემმა თანამგზავრმა ფრთხილად ავიარეთ მთაწმინდის ქუჩა და ეკლესიის დასწვრივ, როცა თავი სამშვიდობოში ვიგრძენით, პალტოს ქვეშედან თოფები გამოვაძვრინეთ და არხეინათ ავედით ფუნიკულიორის დაბლა მინდორზე.

— აი გადახედე, ძმაო, შენ რომ არასოდეს არ გჯერა, ნახე დაბლა რა ნოტიო და აქ როგორ მშრალია; მითხრა ჩემმა მეგობარმა და როცა კარგა დავაცქერდი დაბლობს, ქალაქის შუაწელზე მართლა უზარმაზარი მდინარის ზოლი დავინახე.

— ჩემის აზრით ეს მშვენიერი სავარჯიშო ადგილი გამოვნახეთ—შევნიშნე მე გერასიმეს.

— აი ეს არხი, რომელიც წყლით არის სავსე, ჩვენ სანგრის მოვალეობას გაგვიწევდა, ნოტიო რომ არ იყოს. შენიშნა გერასიმემ და უკმაყოფილოთ თავი გაიქნია.

— გარემოებამ იცის, მეგობარო, თორემ უკეთუ საჭიროება მოითხოვს ახლაც გაგვიწევს სანგრობას,—ჩვეულებრივის გაბედული კილოთი შევნიშნე მე და თან დავსძინე—ომმა არ იცის, ჩემო კარგო, ნოტიო და სიმშრალე. გერმანიის ფრონტზე ყოფნის დროს ჩვენ მთელი თვეობით გვიწევდა წყალში წოლა... რამდენჯერ გამომღვიძია, წამოვწეულვარ და ველარ ავმდგარვარ, ვინაიდან ღამით თურმე ჩავყინულვართ წყალში... ეს პატარა სიცრუე იმიტომ დამჭირდა, რომ ვატყობდი, ციმბირის ამბების მოყოლის დროს გერასიმე არა ნაკლებ მატყუებდა...

— მე მაგას ვერ ვიზამდი... გადაჭრით მიპასუხა გერასიმემ და ოდნავი ღიმილით მამცნო, რომ საეჭვოთ მიაჩნია ჩემი ნაამბობის სიმართლე.

— აი ის ბოძი ჩემის აზრით საუკეთესო სამიზნო იქნება, განაგრძო მან—მეტი სისწორისათვის ამ გაზეთის ქაღალდს გავაკრავ და შევატყობთ, ვინ რამდენს მოარტყამს.

— მშვენიერი იქნება; მართლაც თითქო საგანგებოთ მომზადებული სანიშნოა. დავემოწმე მე.

— დავიწყეთ ზომვა სასროლად საჭირო მანძილისა და დავნიშნეთ სამი პუნქტი: ასი, ორასი და ხუთასი ნაბიჯებისა, რომლებიდანაც უნდა გვეწარმოებია სროლა.

— უნდა გითხრა, ძმაო, რომ სროლის დროს თვალის სისწორე ბევრს ნიშნავს.

— ბრუციანი შენ თუ ხარ არ ვიცი და ჩემთვის კი ეს ჯერ არავის შეუნიშნავს, უკმეხი კილოთი ვუპასუხე მეგობარს,—ჩემი უბედურება მხოლოდ ის არის, რომ სროლის დროს სრულიად ვხუჭავ თვალებს.

— მერე ხომ კი ახელ?

— მერმე რასაკვირველია.

— აბა ახლა დავიწყოთ, ნუღა ვაგვიანებთ.

გერასიმემ მოიმარჯვა თავისი „თოთარი" და მცირე ხნის შემდეგ გაისმა გულშემზარავი გრიალი. გაზეთის ფურცელი ოდნავ არ შენძრეულა. ცხადია, ტყვია განზე წავიდა. ჯერი ჩემზე მოდგა. მე თოფი მოვიმარჯვე. სანიშნო შევასწორე, უკვე ამოვიღე ნიშანში გაზეთის შუაგულში შავად დაბეჭდილი სურათი, რომ უეცრივ მოულოდნელმა გრიალმა ჩვენი ყურადღება შიიპყრო.

— ნუ თუ ეგ ჩემი თოფი იყო? შემკრთალის

კილოთი შევეკითხე მეგობარს, რადგან მახსოვდა, რომ ჯერ ჩახმახი არ გამომეშალა.

— არა მგონია. დამშვიდებით მიპასუხა გერასიმემ.— ეს ალბათ ჩემი თოფის ხმის გამოძახილია ბოტანიკური მთის კლდეებიდან. ეს მეც მეჩვენა და მცირე ხნის შემდეგ კვლავ ნიშანში ამოვიღე ბოძზე გაკრული გაზეთის შუაგული. მრისხანეთ დაიჭექა ჩემმა „სტეერმა“ და გაზეთზე არავითარი კვალი არ დასტოვა.

— ტრახ! ტრახ! ტრახ!.. მცირე ხნის შემდეგ მოისმა ჩემი თოფის ხმის გამოძახილი ბოტანიკური მთის კლდეებიდან, მაგრამ მოისმა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ამ გარემოებამ ჩვენ ჯერ შეგვაეჭვა, მალე კი ეჭვიც გაგვიფანტა. ჩვენს თავზე ტყვიებმა ზუზუნი დაიწყეს.

— გვესვრიან!

— გვესვრიან, კი!

— სროლა ჩვენს ირგვლივ თანდათან გახშირდა და ორგანიზაციული ხასიათი მიიღო. ტყვიები ზუზუნით გადადიოდენ ჩვენი საფარის თავზე და მალლა ფერდობში იკარგებოდენ

— დაწექი, დაწექი! თითქმის მიკამანდის ხმით გადმომძახა გერასიმემ და თუმცა მყისვე წავწექ არხის უფრო მომშრალ გვერდზე, მაგრამ ჩემი თავმოყვარეობა მცირეთ მაინც შელახა ამ გარემოებამ. მე მეწყინა, რომ ინიციატივა ხელმძღვანელობისა გერასიმემ აიღო ხელში და მე რაღაც მაჩანჩალა გამოვედი. მე ნათლად ვიგრძენი, თუ რისთვის არის გამეფებული გენერალთა შორის ინტრიგა და ქიშპი. რაღაც უბრალო თავდაცვით კამპანიას ვაწარმოებთ და აქაც საუკეთესო მეგობრისადმი გულში შური აღმეძრა, რა უნდა იყოს დიდი ომების დროს.

სროლის ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა. მართალია, ვერავის ვხედავდი მაგრამ თოფის ხმაზე ვამჩნევდი, რომ ალყას გვარტყამდენ. ტყვია ჩვენს მაღლა ბეგობს ხვდებოდა და მიწას თავზე გვაყრიდა. ვინაიდან გერასიმეს ახლო საფარი უფრო დაბალი იყო ის იძულებული გახდა მუხლამდე წყალში ჩამდგარიყო და თოფი არხის პირად მშრალ ალაგას ამოედო.

— თოფი დამალე! კვლავ მოულოდნელათ გადმომძახა გერასიმემ და მეც უნებურათ ავასრულე მისი ბრძანება.

— დავნებდეთ თუ გავსცეთ პასუხი? შევეკითხე მე ჩემს მოულოდნელ ხელმძღვანელს. ამით მინდოდა ინიციატივა გამომეგლიჯა მისი ხელიდან, მაგრამ უნებლიეთ სრულიად სხვა შედეგს მივაღწიე.

— ვის უნდა ვებრძოლოთ, ალბათ მილიცია, ან გვარდია გვესვრის.

— მერე?

— მერმე და ის რომ თუ შევებრძოლებით, მხოლოდ მოძმეთა სისხლი დაიღვრება.

ამ სიტყვებმა დიდათ დაამშვიდა ჩემი აღელვებული ბუნება. მე ახლა კიდევაც მიხაროდა, რომ ინიციატივა გერასიმეს ხელში იყო. ეს უფრო დინჯი კაცია, გული უბრალოზე არ მოუვა და ომში ნერვების სიმტკიცის საჭიროება თვით ჰინდერბურგისაგან გვაქვს ჩვენ გაგონილი.

ჩვენს მახლობლათ უკვე გამოჩნდა რამოდენიმე ადიმიანის ფიგურა, რომელნიც სიფრთხილით გვიახლოვდებოდენ და ალყას გვარტყამდენ. გერასიმე არც ამან დააბნია და იხელთა რა დრო, ზუმბაზე წამოცმული თეთრი ცხვირსახოცი თამამად ააფრიალა ჩვენი სანგრის თავზე. მტერმა შენიშნა ის. შენიშნა ესა და სროლა შესწყვიტა. ჩვენ იმედი მოგვეცა უსისხლოდ მშვიდობიანობის ჩამოგდებისა. გერასიმე იმდენათ გათამამდა, რომ წყლიდან სრულიად ამოვიდა არხის ფერდობზე გაწვა. თავდამსხმელთა რკალი თანდათან მოიწურა. უკვე გვესმოდა მრისხანე ხმა:

— დაგვნებდით!

— დაჰყარეთ იარაღი!

— სროლა არ გაბედოთ!

ერთი, უფრო გაბედულთაგანი, მოღერილის თოფით ჩვენს საფარს თავს წამოადგა და ამ უხერხული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. ჩვენ სწრაფათ ავდექით. მალე ყოველი მხრიდან შემოგვერტყენ სულ ნაცნობი პირები და უნდა გენახათ მათი გაკვირვებული სახე.

— კაცო, შენ ეშმაკი არა ხარ? მკითხა ერთმა უფრო დაახლოვებულთაგანმა.

— განა ასე ძნელია ჩემი ცნობა?

— არა, გიცანი, მაგრამ ვერ გამიგია აქ რა გინდოდა. რას აკეთებდი ამ თხრილში.

— რას ვაკეთებდი, მეგობარო, და იმას რაც თვითეულმა გვარდიელმა უნდა აკეთოს: ვალიკომ გამომაგზავნა სავარჯიშოთ. ეხლა ხომ იცით იარაღი ჩვენი საწერკალამიც, ჩვენი სახნისიც და დანა-ჩანგალიც.

— აბა ჩვენ რა ვიცოდით ესენი. გუშინ აქ დაბლა სასაფლაოზე მგზავრები გაცარცვეს და ქურდებს ვდარაჯობდით. სროლამ შეგვიყვანა შეცდომაში.

— ჩემთვის ეგ ძლიერ სასიამოვნოა. სიმართლე გითხრა ძლიერ მესიამოვნა, რომ ასე ფხიზლათ სდარაჯობთ რევოლიუციონურ წესრიგს.

„ჩვენ კი ვდარაჯობთ, მაგრამ თქვენ არღვევთ წამ და უწუმ“ ჩაილაპარაკა ჩუმათ ერთ-ერთმა გვარდიელმა.

— ეს ყმაწვილი ვინღა არის? იკითხა რაზმის ხელმძღვანელმა გერასიმეზე, რომელსაც ახლა მეტი შიში და დარცხვენა ეტყობოდა ვიდრე, ბრძოლის დროს.

— ეს, მეგობრებო, ჩვენი მანისტრის ამხანაგია.

— ეხლა ვინ არ არის მანისტრის ამხანაგი, ჩემო კარგო. უკაცრავად ვართ რომ შეგაწუხეთ.

— მე ბოდიში მოვიხადე გერასიმეს მაგიერ. გვარდიელები ხელცარიელი დაბრუნდენ ქალაქისაკენ. მართალი მოგახსენოთ ალარც ჩვენ დავრჩენილვართ დიდ ხანს, მუხლებამდე დასველებული გერასიმე ნოტიომ ძლიერ შეაწუხა და შინისკენ დავბრუნდით.

სალამოს ცოტა სიცხე მოგვცა ორივეს და ამის გამო ვალიკო ველარ ვინახულე, რომ ჩემი სამხედრო გაკვეთილის ამბავი მისთვის გადამეცა. მეორე დღეს კი გული მომიკლა სამწუხარო ცნობამ. ვალიკო ავათმყოფ გერასიმესთან სანახავად მისულიყო, ამ უკანასკნელს კი მთელი ეს ამბავი ისე გადაეცა ჩვენი გვარდიის ხელმძღვანელისათვის, თითქო მე მასში არავითარი მონაწილეობა არ მიმეღოს, მაგრამ მოგეხსენებათ: ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. პირუთვნელი ისტორია გამოარკვევს ყველაფერს და თავის კუთვნილს ყველას მიუწყავს. ვალიკომ უჩემოთაც გაიგო საქმის სრული სინამდვილე და როცა შემთხვევით სასახლის ბნელ კარიდორში დამეჯახა და მიცნო მითხრა:

— შენ, ჩემო ძმაო, როგორც გავიგე არ ხუმრობ. ან კი რა დროს ხუმრობაა.

ეშმაკი.

ქრონიკა.

● ჩიბათის თემის გამგეობამ გადასწყვიტა, ჩიბათს და ლესოს შორის, ნაცლვათ საურმე გზისა მოაწყოს ნავებით მიმოსვლა ამ მიზნით დანგრეულ იქმნა ყველა ბოგირები და ღელეები მოკენჭილ გზაზე გაყვანილა.

● ლესის სამკითხველოს გამგეობა აცხადებს— ვინაიდგან ყოველ დღე აუარებელი ჟურნალ გაზეთები მოგვდის, ხოლო სამკითხველოს შენობა ვიწროა, ამიტომ მისი განყოფილება გავხსენით ლესაჰინათის აფთიაქში.

● სასურსათო კრიზისის მოსასპობად მთავრობას გადაუწყვეტია ხელახალი რეორგანიზაცია მოახდინოს ამ უწყებისა. განზრახულია მომარაგების სამინისტრო ისევ გამოეყოს შრომის სამინისტროს. უკვე საკმაოდ გამორკვეულია, რომ ვინც შრომას გაურბის ის ყოველთვის მომარაგებულია სურსათით.

ყოფილ სასურსათო საბჭოს ფუნქციები და მთელი სურსათის დაგროვების საქმე ეკისრება რესპუბლიკის სენატს. (საკასაციო დეპარტამენტში), ხოლო რაც შეეხება სურსათის განაწილებას ეს პირდაპირ ევალება საკათალიკოზო საბჭოს. დაწვრილებით ამ პროექტის შედგენა-დამუშავება დაევალა ცხენოსან დივიზიის ასეულს. პროეკტი ითვალისწინებს საზოგადო ორგანიზაციების და კერძო ინიციატივის გამოყენებას. ამ თვალსაზრისით ეროკავშირს, ქალა-კავშირს და კოპ-კავშირთ ევალებათ ტომრების შეძენა და დაკერება სურსათისთვის. მომხმარებელთ კი მხოლოდ ჭამაზე ზრუნვა, რაშიაც ფართე ინიციატივს გამოჩენის უფლება ეძლევათ. დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, პირველ საჭიროების საგნებზე ნიხრის დაწესება უნდა მიენდოს ფირალმონიული საზოგადოების გამგეობას, ხოლო მის დადგენილებათა ასრულება გოგილდის აბანოების მექისეთა არტელს. („საქ. რესპ.“)

● ჩვენი პარლამენტის საბიუჯეტო კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ბიუჯეტის შედგენა ფერხდება არა ქალალდების სიმცირით, არამედ ციფრების უქონლობით, ვინაიდან სამატემატიკო მეცნიერებაში დღეს არსებული ციფრების ნიშნები არაა საკმარისი გასავლის რაოდენობის აღსანუსხავად. ციფრების ზედმეტ საჭირო ნიშნებს ამ ჟამად იგონებს ხელოვნების კომისია.

● ფირმა „კოსმოსის“ მიერ ჩამოტანილი მანუფაქტურა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ისევ უკან მიაქვთ, რადგან მომარაგების საწყობებში ცარიელი, თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა. („სიბჟნიონ“)

● საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს განუმარტავს, რომ საფრანგეთში გასარეკ გერმანიის ძროხებს თან უნდა გააყოლონ ის ხბოებიც, რომელნიც დაიბადნენ ომის წარმოების ხანაში. გერმანიის ნაციონალური საბჭო ამაზე პროტესტს აცხადებს. ამბობენ ვილსონი ამერიკის სენატში თავის 14 პუნკტს ისევ განიმეორებსო. მარშალ ფოშს ებრძანა ჯარების გაძლიერება.

● რადგან ოფიციალურ დაწესებულებებში ქალალდების დაკარგვა გრძელდება, განძრახულია მოხელეთა ბატალიონების გაუქმება. მათი მოვალეობის ასასრულებლად იწვევენ გვარდიას. („თეატრ. და ცხოვრ.“)

● „ივერიის“ თანამშრომლებს დაუდგენიათ შობა ახალწელიწადი იდღესასწაულონ ორჯერ. პირველად თფილისში ახალი სტილით და მეორეჯერ პროვინციებში ძველი სტილით. გაზ. „კლდე“ ამის გამო უკიჟინებს „ივერიას“ სიწითლეს და მოწინავე წერილში ნათლავს მას მოლალატე ამხანაგად. („კლდე“ როგორც ვიცით უარყოფს ახალ სტილს).

—

იანეთი.

ერთ რამესა გთხოვ, მისმინე
ეშმაკო შენსა ლხენასა:
ნუ დაგვამადლით, მცირე ხნით
იანეთს გადმოფრენასა.
უმალ შეგხვდება, გზის პირად
ბაზარი მწყობრად დებული
მუნ საზოგადო დუქანი,
დღეს მეცხრედ გაკოტრებული.
ვისაც მიანდვეს შეჭამა
ვალი დაგვედო ყველასა.

სოფელი სტირის და შენგან
მოელოდება შველასა.
სამკითხველოსაც იხილავ
იქ, ბაზრის პირად გდებულსა
და ოდნავ ესალბუნები
ყველასგან დაობლებულსა.
აქაც მიხვდები, ვის უნდა
ზურგზე წაცხება ზეთისა,
და თან მათრახის მიცხება,
მეუფევ ჯოჯოხეთისა!

დ. ილოშვილი.

პატარა ფელეტონი.

ხაზს ვუსვამ

„ხაზს ვუსვამ“!

აბა ვინ, რომელი ჭკუათა მყოფელი ადამიანი წარმოიდგენს, რომ ამ ორ, სრულიად უბრალოსა და თითქმის უშინაარსო სიტყვას ჩემი მოთმინებიდან გამოყვანა შეუძლია. ეს კი ასეა!

ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა დამფუძნებელი კრება ქართველ კულტურულ დაწესებულებათა შესახებ დეკრეტს არჩევდა, მე ჟურნალისტების ლოჟაში ვიჯექი სრულიად საღი, საღ-სალამათი. არავითანი ნიშანი წყენისა, აღელვებისა, მით უმეტეს ავათმყოფობისა, ჩემს ორგანიზმს არ ემჩნეოდა. წინააღმდეგ ჩვეულებისა, მხიარულ ხასიათზედაც ვიყავი, ვინაიდან ზემოაღნიშნული დეკრეტი სიხარულით ავსებდა ჩემს გულს.

— მადლობა ღმერთს, ვფიქრობდი ჩემს გულებაში,—ამ დიდებულ დღეს ჩვენი ისტორია განსაკუთრებით აღნიშნავს.

მომხსენებელმა თითქმის დაასრულა ლაპარაკი დეკრეტის საჭიროებაზე და დასასრულ დასძინა:

— ბატონებო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი კულტურულნი დაწესებულებანი და მოღვაწენი გასაჭირ გასაჭირს განიცდიან. ამას მე კვლავ ვიმეორებ და ხაზს ვუსვამ.

რაღაცამ თავში დამკრა, მთელ ტანში გაირბინა, ფეხებში ჩავიდა და ფეხის თითებიდან დახეული ჩექმის ჭუჭრუტანებში გაძვრა. პირველ ხანად ვერ გავიგე რა იყო მიზეზი ამ ჟრუანტელისა ისე მოულოდნელი და უეცარი იყო მოვლენა მისი.

„ხაზს ვუსვამთ!“ „ხაზს ვუსვამთ“! ღმერთო ჩემო რა საშინელი და საბედისწერო სიტყვებია. არ ვიცი ამაზე საშიშარს მე რას გავიგონებ. დარწმუნებული ვარ, ეს ორი სიტყვა ჩემ სატანჯველათ არის მოგონილი, ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა. ჩვეულებისამებრ იწყეს გამოსვლა ფრაქციის ორატორებმა.

პატივცემულმა ივ. გობეჩიამ აღნიშნა, რომ ის ხაზს უსვამს კულტურული მუშაობის ხალხში საჭიროებას. შალვა მესხიშვილის აზრით ხაზი უნდა გაესვას იმ თავდადებულ მოღვაწეობას, რომელსაც ჩვენი კულტურული დაწესებულებანი აწარმოებენ. გიორგი გვაზავას თქმით ნაციონალ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს მთავრობას ამ დეკრეტის მიღებაში და ამ გარემოებას უთუოდ ხაზი უნდა გაესვას. ვეშაპელის სიტყვიდან მხოლოდ „ხაზი“ გავიგონე და აღარ ვიცი იმანაც გაუსვა თუ არა.

როცა მოვსულიერდი და გონს მოვედი, მხოლოდ მაშინ შევნიშე რომ პარლამენტის ქვესტორის სავარძელში ვიჯექი და სერგო თავს დამტრიალებდა.

— კიდევ გაუსვეს? შეშინებულისა და მიმკრათლი ხმით ვკითხე ჩემს ჭირისუფალს. რას გაუსვეს? რა დაგემართა ბიჭო. შენ ასეთი ამბები არ იცოდი წინათ.

სერგომ მყისვე გამოიყვანა კრების სხდომიდან ექ. ივ. გომართელი. კარგა ხანს მატრიალა ექიმმა, ბოლოს ჩუმის ხმით სერგოს გადაეფურჩულა.

— ხშირათ უშვება ეგრე?

— ეს პირველი შემთხვევაა, ექიმო, მე კარგა ხანია ვიცნობ მას და არასოდეს ასე მოულოდნელათ გული არ შესწუხებია.

— იქნება უჭმელების ნიადაგზეა.

— ეს ყოვლად შეუძლებელია: გუშინ ბართლომესთან იყო სადილათ, გუშინ წინ სიმონთან.

— შეიძლება შრომისგან არის დაქანცული.

— ეს ადვილი საქმეა. აი დღეს იმდენი ლაპარაკეს საზოგადო მოღვაწეებზე და არავინ მათ უზომო შრომას ხაზი არ გაუსვა, რომ...

— მიშველეთ!.. ინსტიქტიურათ ამომხდა საშინელი ხმა და ეულშეწუხებული კვლავ სავარძელში მივესვენე.

მას შემდეგ აგერ მესამე კვირა გადის და სიტყვები „ხაზს ვუსვამ“ ჩემის გონებიდან არ გამოდის. ვერ გამიგია, თუ რას უნდა მიეწეროს მისი ამგვარი ჩემზე გავლენა. ძველათ, დაუვიწყარმა ფილიპე მახარაძემ იცოდა: „მე ამ სიტყვებს ხაზს ვუსვებო“. ცოტა შემდგომ საკუთარის თვალით მინახავს ჩვენი ძვირფასი ცენზორის მიერ „ხაზგასმული“ ადგილები. იქიდან მოკიდებული ვიდრე დღევანდლამდე მესმის სიტყვები. „ხაზს ვუსვამ“, და გასაკვირიც არ არის თუ მან ჩემზე ასეთი გავლენა მოახდინა.

დღეს თქვენს წინაშე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ მე ნერვებს მიშლის უკვე ცალკე სიტყვა ხაზიც. ამ სიტყვამ შემაძულა კრებები, ლექციები, მიტინგები, დამფუძნებელი კრების და მისი ფრაქციების სხდომები. ყველგან თითოეული ორატორი „ხაზს უსვამს“ თითქოს განძრახ სურდეს ჩემი გულის გახეთქა.

ამხანაგებო, ნუ „უსვამთ ხაზს“ ღვთის გულისათვის. ზოგჯერ იქნება აჯობოს „განსაკუთრებით რომ აღნიშნოთ“ ვინ იცის.

მორიელი.

„ეშმაკის მათრახი“.

რედაქციის ადრესი:

თფილისი: რუსთაველის პროსპექტი, № 24.

შემდეგი ნომერი
„ეშმაკისმათრახისა“
გამოვა იანვრის პირველს:
საახალწლო.

გურული სცენა.

რავა მივა თლა უკან-უკან ჩვენი საქმე! ვფიქრობდი: დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ, აგერ ამ წელიწადს თუ გადავრჩი, მერე აფერი მიჭირს მეთქინ, მარა, არ შეგჭამოს ჭირმა, სულ უკან-უკან მივა ქვეყანა. მაინც, ამ სიმინდის ყიდვის ჯავრმა თლად მომახუცა კაცი. კაცო, რომ არ იქნა და არ იქნა, ერთი მაგი მქონოდა საყოფი?! რა არ ვქენი წროულს, გადავდევი თავი, თუ სამე მოდვილაი მქონდა, ყველა ყანათ ვაქციე, ცოლს უთხარი: „ეგვიტია, ა, ახლა მინდებხარ, თუ ხარ ჩემი აფხანაკი, ამდენ ყანებს მე მარტუაი ვეფერს უზამ, თუ შენც არ დეიფრიალე თოხი, მომეხმარე, რამენაირად, აი სიმინდი მევიწიოთ საყოფად და მერე თუ რამე ორ კაპეიკს შევარე ხელი, რაცხას კი შეგიკერავ ტანზე მეთქი, თვარა, თუ სიმინდი კიდომ საყიდელი გვექნა, ჩემი შემოსავალი: თუთუნის იქნება, თხილის თუ ვოტკის სულ სიმინდში წავა თქვა. იკადრა ხომ, დეიფრიალა თოხი რჯულზე, კალამ სირცხვილი მაჭამა, მუშაობაში კალამ მაჯობა. ქე იქნებოდა გვარიანი კაი ყანა, მარა, რაღაი მერე, რუმ დუუბერა მარიამობისთვეში ქვენამ, ისე მიაწვინა სუყველე ქედზე, რომ იმის აყენება არ იქნა და არ იქნა... დიესხა წყალი თავზე ჩემ იმედებს რუმ ველოდი, იმის მესამედიც არ მომი იდა სიმინდი... ახლა, რას შობი? ნუგეშინია მეგრელიესკენ არ ვქნა პირი... ვაი, ნენა, რავა დავწყტებით შიმშილით, მეგრელიე იყო ჩვენი ნუგეში და ახლა რაღაი. ქე დამიწყევლია ხშირად მეგრელები, მაინც შარშან წინ ნამეტარი გუუვიდენ გულს, სიმინდი იგენს ქონდა და მის ხელში ვიყავით, რას ვიზამდით, რასაც მოგვთხოვდა, ყოლიფერი იგენიზა უნდა მიგვეტანა: ქალების კაბა, პოსაპოშკები, ღიტარა, შინელი, შარვალი, პერანგი და მისი აფხანიკი, აბა ფულს რავა უმზერდენ, ხელს არ კიდებდენ; ბარეორჯელ ამოვადალაგე წყევლით ჩემი ეგვიტიეს ახალთ-ახალ კაბაში ერთი ფუთი სიმინდი რომ ჩამიფცქვია ტუმარაში... არა, როცა რამე გაქ, ღმერთი კი არ უნდა დეივიწყო; კაია მაინც, ნახონ ერთი წროულს, რაფერია შიმშილი. ხანჭკის მორება კაი არაა მარა, რავქნა, კაცი ღზნობიდან გამოსული ვარ... აგერ ქრიშობისთვეა და სასიმინ-

საბჭოთა რუსეთი

თავისუფალი ნების გამოხატვა დემოკრატიისა.

დეში ერიში აქვენ თაგვებს... რავქნა, აფერი ვიცი... რაფერ გუუძლო ყორიფელს, შიმშილი ევიტანო, სიშიშვლე თუ რამდენი რაი... საცოდავ ჩემ ცოლს ეგვიტიას თლად დაჯგუტული აქ ხელის თითები ლემსით. გეიკეთებს სათვალეებს, აბა ისე ვეფერს ხედავს, ჩამოუშობს ცხვირს გიდელივით ძირს დააკერებს და აკერებს ძველებს, დამიკერებს წინ, უკან გამომეხევა, დამიკერებს უკან—წინ გამომეხევა, სწორეთ მათხოვარს ვგავარ, რა უყო, დევეგდები სახლში, კარში მაინც არ გამომესვლება, მარა აი საქმე რომ მაქ ათასი; სიღარიბე მაწუხებს თვარა, ერთი კაცი თუა სოფელში, მეც ქე ვარ და ქე მიძახიან ყოველგან. ერთი ზეწარი ქონდა ჩემს ცოლს ნაგზითი, გადავაკეთეთ საცვლებათ, დემეხა, პაწა ჩემს ბიჭს გამუუკერე პერანგათ, დიეხა იმას, იმაზე უნცროს გამუუკერე ქალს კაბა ქონდა შავი, იგი შარვლათ გადავაკეთე და ჩევიცვი, იმის გულიზა ერთი კვირე ყარა კურცხალი ჩემმა ეგვიტიამ, მარა, რას იზამდა... აბა, ჩვენს საბნებს ისე დიეკეკა სარჩული და პირი, რომ ნამდვილი სასირე ბადეა, ერთ ღამეს კაღამ დემეხრჩყა ლოგინში ჩემი პაწაი ბიჭი, ესიკელე; დავწევით, დაგვძინებია, მაინც იგი უბედური ბიჭი შესაწვავ გოჭივით ტრიალებს თელი ღამე ლოგინში. გაბანდულა საბნის დაკონკილ პირში, წასჭირებია კისერში და ქე ხროტინობდა, გადმოვბრუნდი, ვნახე, რას ნახავ! გაბმულა ბიჭი საბანში, გამობერილა და ქე იხჩობა, დავატანე ხელი საბანს, ფურთხაშ-ფურთხაშათ მოვაქციე და გადავარჩინე დახრჩობას, ცოლმა მომაწყეცლა: შენ დეგეხა შიგანი, საბანი რომ არ დაგეხია, ისთე არ იქნებოდა?..

— თუ არ დაგეხევა შიგანი, აგერ ნახავ გაზაფხულზე, რომ ერთი ლუკმა აფერი გექნება, საბანი კი არა სიმწრით გაზდილი შვილი მეხრჩობოდა მეთქინ... მივაყვირე... ახლა ვაწეპეფ კაპეიკს კაპეიკზე, აღარც ტანს ვჩივი და აღარც ფეხს, ყოლიფერს ვყიდი, თუკი რამე მაქ: ღვინოს და ოტკას ჩემსას საზიარებლად ვერ იხილებს კაცი, ყველე უნდა გავყიდო, თხილი მაქ პაწაი, იმასაც მივაყიდი, იქნება მუუყარო ფარას თავი, მარა რამდენს მუაგროვებ, რომ სიმინდეს ყიდვას გუუძლო. ყოველ საათში რომ მატულობს მისი ფასი... გუშხამ პარასკევობაში სიმინდე ფუთი ოცდა ორი თუმანი იყო, დღეს ოცდა ხუთი თუმანი გამხთარა,

მსხვილი სპეკულიანტები.

— თქვენ უნდა გახსოვდესთ, რომ აღებ-მიცემობა ადვილი საქმე არ არის: აი, ამ ერთმა კოლოფმა სპიჩკამ შეიძლება დაგლუპოს, და შეიძლება აგაშენოს! საქმე ბაზარი და კურსია!

რავქნა, აღარ ვიცი, ჯავრით გადვირევი და იგია... საშველი რომ არ არის? ღმერთი არ მისკემს საშველს, ვინცხამ აი ქვეყანა არია-დარია თლათ... მაინც რომ გადავარდა საფეხურაზე ქვეყანა, არ იქნა მისი მობრუნება, აქნობამდე რაცხას ქე მიკეთებდენ გულს, ქე გევიგონებდი კრებებზე იმედს, სანუგეშო სიტყვეს. ახლა ვეღარც კრებებს ვხედავ, და ვეღარც ვერაფერს, ჩვენი ორატორები და ცოციალისტები ვინც კი იყო, ყველაი თფილისში გეიქცა, კაკალი კაცი არ იცდის სოფლებში; არც კომისარი, არც უჩიტელი, არც ინტლიგენტი და არაკაცი, რათ უნდებიენ ახლა სოფელი, ნიკოლოზეს არ ეშინიან და იგი დროი ქე დაავიწყდენ, რომ მოფურცხულობდენ ანგელოზ დაფეთებულები შიშისაგან სოფელში, ჩემსას იგენიზა გასტინცა იყო, ხან ერთი იმალებოდა და ხან მორე, ისეთ რამეებს მეუბნებოდენ, რომ თუ ამ დროს მევესწრებოდი, რავა მეგონა აგი.—თუ ნიკოლოზას ძირს ჩამოგდებას მივესწარით პეტრიავ, მერე ნულარაფერის გეშინია, ასე გაჭივრებული არ ვიქნებით, გული არ გეიტეხოვო, მანუგეშებდენ, ახლა სად არის ერთი კეკალი, ნუგეში ახლა მჭირია, ამისანა გაჭივრებაში მე არცაროის არ ვუოფილვარ მარა, ახლა ვის ნახავ სოფელში. ნეტაი რა უყრიათ იმ თფილისში რომ ყველაი იქინე არჭობს თავს, ან რა არჩენს ამდენ სარესკელ ხალხს იქინე? არ ვიცი, არ ვიცი, რაფერ იქნება ქვეყნის საქმე? ქე ვხედავ, რომ კაი არაფერი იქნება, ქყეყანა იქცევა, მარა ფულუ ავით ყველეს უწინ რაფერ დევიოხარო თვალები?

ლუკაიეის ობოლი.

წვრილი სპეკულიანტები.

ერთი მათგანი. დილის 8 საათზე ავლაბარში უნდა ვიყო ყალბი ბონების ქარხანაში... 9 საათზე ნავთლულის სადგურზე ჩამომივა 3 ტიკეტორა კახური არაყი... 10 საათზე სამინისტროს დერეფანში ზიპოს უნდა შევხვდე ლობიოს ნებართვის გამოსაყიდათ... 11-12-მდე მომარაგების კომიტეტთან უნდა ვიდარაჯო ეგება რამე გამოდნეს... შემდეგ, 1 საათზე კოოპერატივთა კავშირში მივიდე და უნდა ერთი პარტია მოცვის ჩაისთვის ცეილონის ჩაის ბანდეროლები უნდა გამოვაწერინო. 2 საათზე საბაჟოს კარებთან ლუარსაბი დამხვდება და მეტყვის, მომცემს თუ არა მის ვაგონს ბათომში კონიაკის წასაღებათ... შემდეგ „წნორის წყალში“ „კომუნისტებთან“ ღორის მწვადები და კახური მიცდის... საღამოს, თუ ბაქოს მატარებლით მამედ-ოღლი არჩამოვიდა შაქრის წასაღებათ, იქნება ერთი წუთით უნივერსიტეშიაც შევირბინო ლექციაზე ქეთოს ლოყებზე საჩქმეტად...

დაგვიანებული

ბუტუნას რადიო

ფოთი. დენიკინის შეიარაღებულ გემ—„დუნაის“ ის დღე დააყენა ჩვენმა პატარა „ტარიელმა“ რაც ცნობილ ლომს ისტორიულმა კოლომ. დაზიანებულმა „დუნაიმ“ გაქცევით უშველა თავს.

„ტარიელის“ მამაცობით გარაინდებულმა მოქალაქეებმა თავის საშველად გაქცევის მაგიერ მასიური „პერეგეჟკა“ მოახდინეს ნავთსადგურისკენ, სადაც ყუმბარების გალობა მოისმოდა. ნაწილს ამ ხალხისას დენიკინის ნახვა აჩქარებდა, ხოლო უმრავლესობას მტრის წინააღმდეგ თავის განწირვა.

იქიდანვე ხალხში გავრცელებული ხმები, ვითომც ფოთის რაიონის ხე-ტყე უწყალოდ იჩეხებოდეს სიმართლეს „არ შეეფერება“. ტყის მეფემ (ლესნიჩმა) კინწურეიშვილის რესტორანიდან კვინიხიძის ღვინის საწყობამდე გულდასმით დათვალიერა ყველა „ტყეები“ და გარდა ბოჭკებისა და რუმბებისა ვერაფერი აღმოაჩინა.

ის აუარებელი ხე-ტყი, რომელიც კაპარჭინის რაიონში იმყოფება, როგორც ჩვენი ტყის „მცველები“ „ამტკიცებენ“ ოსმალეთიდან ზღვის ღელვას შამოუტანია მალთაყვის სრუტეში.

მოწაფეთა ერთი ჯგუფი „კულტურული“ მიზნით აგროვებს ყოველგვარ სამოსწავლო ნივთებს მაღაზიებიდგან პატრონთა დაუკითხავად და შეუმჩნევლად. ვიღაც „რეაქციონერმა“ „წიგნებით მოვაჭრემ დაატყვევა ერთი ასეთი ქველმოქმედი თავის საქონლიანათ, და ცილიც დასწამა ქურდობაში.

დეპეშები

ზესტაფონი. სადგურის უფროსი ბ. არხიპოვი ადგილობრივ თვითმმართველობებს ძლიერ უწყობს ხელს დამშეულ მაზრაში რკინის გზით სურსათსანოვაგის შემოზიდვაში. თითეულ მოქალაქეს შეუძლია შემოიტანოს სიმინდი, ლობიო და სხვა 5-10 გირვანქამდის, ხოლო სპეკულიანტებს ნება აქვთ გაიტანონ 100-200 ფუთამდე.

მაზრაში მასწავლებლებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ვიდრე მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოს სამშვიდობო კონფერენცია იცნობდეს ისინი მხოლოდ ეკონომიურ ფუნქციებს ასრულებენ: ამხადებენ,, მომარაგების კომიტეტის საშვალებით სხვა და სხვა პირველ საჭიროების საგნებს. შეძენა შეუძლიათ „უპროტექციოთ“ მხოლოთ მასწავლებლებს, „პროტექციით“ კი სპეკულიანტებსაც.

ქუთაისში არსებობს ორი სალამოს კურსები. ერთი ჩინჩალაძის და მეორე მხეიძის გამგეობით. პირველზე ორასამდე მსმენელია, გადასახადი ჯერჯერობით ათასი მანეთია. მასწავლებელთა კოლეგია 12 კაცისაგან შესდგება, რომელნიც მეტის მეტ ბეჯითობას იჩენენ და ზოგჯერ მეცადინობაზედაც დადიან. გამგე ერთგულად და კეთილ სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას: ფულებს თავის დროზე აგროვებს...

მსმენელები ორივე სქესისაა. წარჩინებულად მიმდინარეობს არშიყობის საქმე. საარშიყო რეპეტიციები დამთავრდა, ეხლა უკვე საქმიანობის ხანა დაიწყო. ასეთივე ფერის და გემოვნების არის მხეიძის კურსებიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ მეცადინობა ხან და ხან თავშესაქცევად სწარმოებს. ბ. გამგეს თქმით, ატესტატებს ყველა მიიღებს, ვინც ნორმაზე მეტს გადაიხდის. როგორც ხედავთ პირველშიაც და მეორეშიაც ცოტა რეორგანიზაციაა საჭირო და ჩვენ იმედი გვაქვს დღეიდან თქვენ ფერხთა ქვეშე მყოფი ჩინჩალაძის და მხეიძის კურსები ახალ ელფერს მიიღებენ.

ბრძანება

საჩხერის გენერალ-გუბენატორისა.

თანახმად საჩხერის მედუქნეთა და მეარღნეთა კავშირის მოხსენებისა საჩხერის ყველა არაყით და ღვინის მოვაჭრე დუქნების კომისრათ ვნიშნავ გრიგოლ ქებაძეს, ხოლო მის თანაშემწეთ—დრიტა პენტერა-კალისპერას.

სამშობლოსათვის თავდადებული მოღვაწეობისთვის და სამაგალითო ერთგულებისათვის, სათამაშოთა კურსების მოწყობისთვის და ახალ-მოდაზე არღნის ჭყრიალისთვის,—მეარღნე ჩოფურას (ვაგზლის ქუჩა, დუქანი ალმასხანისა) ვაჯილდოვებ ჩაფი ღვინით.

უბრძანებ ერთ-ერთს მომრიგებელ მოსამართლეს-რათა მის მიერ მიღებულ საანკეტო ფურცლებში,—მოსამსახურეებს არ შეატანიოს ოჯახის ის წევრები, რომელნიც უკანასკნელს ხელებში შეჩერებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან, როგორც ყალბი ცნობების შემკრები.

მიუწერ სასამართლოთა დაბალ საფეხურის მოსამსახურეთ, დაუყონებლივ დაშალონ მოსამსახურეთა კავშირები და ნაცვლათ ათისა იქონიონ მხოლოთ ერთი.

ყოველ კვირას დღისთვის, როდესაც ჩვენი **დამშვენებელნი** და საუკეთესო შვილები საშო-

ბლოსი-სპეკულიანტები მობძანდებიან ხოლმე,-გავახსენებ მცხოვრებთ, რათა მორთულ-მოკაზმული იყოს სახლების ივნები და გარე კედლები ნოხალიჩებით, ხოლო ახლო-მახლო სოფლელებს-დაამზადონ ყოველ კვირისთვის ასი ათასი ფუთი ლობიო სპეკულიანტებზე გადასმცემათ.

გენერალ-გუბერნატორ **დუმ-დუმ**

ორი მეტოქე)

(მოთხრობა-ამერიკული. ავტორი-იტალიელი. მთარგმნელი ქართველი).

ამ ამბის შემდეგ ქალაქი მინქი წარმოადგენდა არაჩვეულებრივ სანახაობას. რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა არ დარღვეულიყო გაზეთებს აეკრძალა ამ შემთხვევის შესახებ წერა; მცხოვრებნი გაურბოდენ ერთმანეთთან საუბარს, რათა საშვალება შეერჩინათ მუშაობისა, რესტორანებში გამეფებული იყო სამარისებური სიჩუმე, რომელსაც ხანდახან დაარღვევდა ხოთმე ვისიმე შეკავებული სიცილი, რომლის შემდეგ ყველა დამსწრეთ უცებ წასკდებოდათ საშინელი ხარხარი და, მოსალოდნელ დავიდარაბის თავიდან ასაცილებლად, სტოვებდენ რესტორანს და გარბოდნენ სახლში. თეატრებში მხოლოდ ტრაგედიებსა და მელოდრამებს თამაშობდნენ.

მუზეუმის წინ მოედანს ყველა ერიდებოდა, როგორც მოწამლულ ადგილს, რადგანაც გრძნობდნენ, რომ ახალი აფეთქება შეუკავებელი სიცილისა დამღუპველი იქნებოდა ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის.

ორ კვირაზე მეტს გასტანა ქალაქში ასეთმა ზდგოარეობამ, შემდეგ კი ცოტა-ცოტად ქალაქის ცხოვრება დაუბრუნდა ნორმალურ პირობებს. მომხდარ ამბის შესახებ უკვე აღარ იყო საშიში ბაასი, რადგანაც ნერვები მომაგრდა.

სიბურჩიჩის შესახებ კი მთელი ექვსი თვის განმავლობაში არ იყო არავითარი ცნობა. პირდაპირ სხდომიდან იგი წავიდა სადღაც და მას შემდეგ უკვალოდ დაიკარგა. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ მოვიდა მისგან წერილი. ღირსეული მეცნიერი გახარებული იყო: რომელიღაც ღელეში სუმატრაზე მას აღმოეჩინა ახალი ჯიშის კიბო, ასე ვთქვათ პროგრესისტული, რომელიც ნაცვლად რეაქციონურ თანამოგვარესავით უკან-უკან ხოხვისა, გაბედულად წინ მიიწეოდა.

სიბურჩიჩის წერილი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „მინქ-ს ჰეროლდ"-ში, ასე თავდებოდა: „ასე ვუპასუხებ მე რაპაზონის მუხანათობას, რომელსაც, უეჭველია, აქვს საკმაო ნიჭი შარლატანობისა, მაგრამ აღარ ძალუძს მეცნიერების სასარგებლოდ თავის განწირვა".

წერილმა მოახდინა იმდენად დიდი შთაბეჭდილება, რომ გამარჯვებით მოამაყე რაპაზონი შურის გრძნობამ მოშალა. საზოგადოებრივი აზრი მთელს ამერიკაში წმინდა ამერიკელი სიჩქარით გადაიხარა სიბურჩიჩისკენ. გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიაც დიდის ქებით იხსენიებდნენ გამოჩენილი მეცნიერის ენერგიას და იმ ღვაწლს, რომელიც დასდო მან მეცნიერებას.

მთელი ქალაქი გულის ფანცქალით მოელოდა სიბურჩიჩის დაბრუნებას და ემზადებოდა მისი შესაფერი შეხვედრისათვის.

მაგრამ ვაი რომ ამ შეხვედრას არ ეწერა განხორციელება! სამწუხაროა ბედი ადამიანისა საზოგადოდ, და გამოჩენილ კაცთა ბედი ხომ უფრო დაუნდობელია!.

უბედური სიბურჩიჩი, რომელიც ბრუნდებოდა თავის სამშობლოში დიდძალი პროგრესისტ-კიბოებით დატვირთული, გზაში ხელში ჩაუვარდა ველურებს, რომელთაც არ დააყოვნეს ცნობილი მეცნიერის დაკვლა და მისი შეჭმა კიბოებთან ერთად.

სიბურჩიჩის დაღუპვის შესახებ ცნობა ქალაქში გამოაქვეყნა ამერიკის კონსულის სააგენტომ. ამ საშწუხარო ამბავმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ქალაქში და ეს შთაბეჭდილება მალე გადაიქცა რაპაზონის მიმართ უსაზღვრო მძულვარებად. ხალხი რაპაზონს აბრალებდა გამოჩენილ მეცნიერის დაღუპვას.

სწორედ ამ დროს გაზეთებში დაიბეჭდა კუნძულ ბორნეოდან ვიღაც კორესპონდენტის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ იმ კუნძულზე გამოჩნდა ადამიანის მსგავსი მაიმუნი, რომლის დაჭერა ვერავინ ვერ მოახერხა. მეცნიერები დიდი ხანია ეძებდენ მაიმუნს და ადამიანს შორის გარდამავალ ცხოველს, რომელიც აერთებდა ადამიანთა წინაპრებს მაიმუნებთან. კორესპონდენცია ეხებოდა აღმოჩენას სწორედ ასეთი მაიმუნისას და ეს აღმოჩენა უთუოდ დიდ განძს შეჰმატებდა კაცთა შთამომავლობის ისტორიას.

რაპაზონი მაშინვე ეცა ამ შემთხვევას, რომ საზოგადოებრივი აზრის წინაშე აღედგინა თავის პრესტიჟი და გაზეთ „ჰეროლდ"-ში მოათავსა ხელოვალე წერილი, რომელშიაც პირობას სდებდა, რომ უსათუოდ გაემგზავრებოდა ბორნეოს და იქიდან დაბრუნდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიპყრობდა და ჩამოიყვანდა იმ მაიმუნს, ვინაიდან— ამბობდა ის თავის წერილში ჩემთვის ჩემი ძვირფასი თანამემამულეთა ზიზღი სიკვდილზე უარესია.

წერილმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რაპაზონის პოპულიარობამ კვლავ იწყო ზრდა, და, რამდენიმე კვირის მზადების შემდეგ რაპაზონი უკვე

ძველი და ახალი

ერთი ძველთაგანი. რა მშვენიერი ბოლო აქვს ამ ახალგაზრდა პროფესორს!
მეორე ძველთაგანი. ბოლო მრწამს, მხოლოდ თავი მაკვირვებს!

გაემგზავრა ბორნეოს და სწორედ შესაფერ დროსაც ჩავიდა კუნძულზე, რადგანაც ადამიანის მზგავსი მაიმუნი იმ დღეებში უნახავთ კუნძულის ერთ მახლობელ ტყეში.

რაპაზონმა მაშინვე გასწია იმ ტყისკენ და თან წაიღო მთელი თვის სამყოფი სანოვაგე. მივიდა თუ არა დანიშნულ ადგილას, მან უკან გააბრუნა ყველა მისი მხლებელნი და დარჩა ტყეში მარტო.

საქმე იმაში იყო, რომ დიდძალ მონადირეთაგან მაიმუნის დევნის უშედეგობამ რაპაზონი დაარწმუნა იმაში, რომ ცხოველი მეტად ფრთხილი და ჭკვიანი იყო და მის შესაპყრობად საჭირო იყო ახალი ოფრო ჰუმანიური და მეცნიერული საშვალება. რაპაზონმა მშვენივრად იცოდა მაიმუნის ენა, თავისუფლად შეეძლო ამ ენაზე საუბარი, და გადასწყვიტა ესარგებლნა ამ გარემოებით და დამეგობრებოდა ამ ცხოველს, გამოეყენებია მაიმუნთა თვისება მიმბაძველობისა და შეეუტყუებია იგი ერთ ერთ დიდ ხაფანგში, რომელიც ააგო მან ტყეში ერთი ვითომ თავისთვის და მეორე მაიმუნისთვის.

დადგა ნადირობის პირველი საღამო. დარჩა თუ არა მარტოდ მარტო ამ ტყეში საშინელ მხეცთა შორის, უებარი მეცნიერი ცოტა შედრკა შიშისაგან, მაგრამ გამარჯვების იმედმა იგი მალე აღაფრთოვანა.

როცა დაღამდა, მან აანთო დიდი ელექტრონის ფანარი, რომელსაც უნდა მიეპყრო ულრან ტყის ცხო-

სოციალური სურათები

ძალიან მზარეული. „მახსოვს, დროებავ! გახსოვს, ჩემო სოფიკო, ჩვენ ოთახში რომ სუფრას შემოვუსხდებოდით და ჩვენი გიორგი მოგვართმევდა ხოლმე ნაირ-ნაირ საჭმელებსა?... ეხლა კი?!... ეჵ! წარვიდნენ დრონი!...

ველთა ყურადღება, და გულის ფანცქალით დაუწყო ლოდინი მათ მოსვლას.

მალე მოირბინა მთელმა ჯოგმა ლომების, ვეფხების, სპილოების, ორანგუტანგების და სხვა მხეცებისამ, მაგრამ ეცა თუ არა მათ მაცნიერების სუნი, მაშინვე კუდამოძუებულნი უკან გარბოდნენ ტყეში. უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ რაპაზონმა განგებ წაისხო მთელ ტანზე თავის შაქრის პომადა, ვინაიდან იცოდა, რომ მხეცებს ეშინოდათ ამ წამლის, რომელსაც ხმარობენ მათი ტყავისაგან საფრთხობის გაკეთების დროს. მთელი ღამე იჯდა რაპაზონი განაბული თავის გალიაში, მაგრამ მას შემდეგ არავინ არ გაკარებია მის კარავებს. მეორე დღეს მან გადაწყვიტა შემდეგი ღამისათვის სხვა ხერხი გამოეგონა. ბევრი ფიქრის შემდეგ ახალი საშვალებაც ნაპოვნი იყო.

დაღამდა თუ არა, ნაცვლად ელექტრონის ფანრის სინათლისა, მთელი ტყე მოჰფინა და ააგუგუნა გრამაფონის ხმამ. მაგრამ ამ საშვალებამაც ამაოდ ჩაიარა. ასე განვლო ოთხმა ღამემ, მეხუთე ღამეს რაპაზონმა წარიკვეთა ყოველივე იმედი, მაგრამ ელექტრონის რეფლექტორითა და ტელესკოპით ტყის დათვალიერების დროს უცებ ხეთა შორის მან შენიშნა რაღაც უცნაური ცხოველი და კინაღამ დაიყვირა: „აჰა ესეც ჩემი მაიმუნიო“! მაგრამ თავი შეიკავა და სუნთქვა დახშული რაპაზონი მიწაზე განერთხო და დაუწყო თვალყურის დევნა უხმოდ, რომ არ დაეფრთხო ცხოველი. უცნაურ ცხოველს, როგორც სჩანდა, სრულიად არ აკვირვებდა რეფლექტორის სინათლე და თავისუფლად დასეირნობდა ტყეში და ბოლოს მთლად მიიმალა ხეებში.

რა ხანგრძლივი და დაუსრულებელი იყო რაპაზონისათვის მეორე დღე! ჯერ არც იყო შეღამებული, რომ მან კვლავ აანთო თავისი ფანარი და მოემზადა.

დიდხანს მოუხდა მას ამხანად ლოდინი, მაგრამ ბოლოს ხაფანგს ახლო ბალახმა უცებ შრიალი დაიწყო და რიპაზონის წინ რაღაც ათიოდე ნა-

ბიჯის მანძილზე მთელი თავისი სიმაღლით წამოიჭიმა სანატრელი ცხოველი. მეცნიერი ძლივს იკავებდა გულის ცემას და დიდის ყურადღებით ათვალიერებდა იშვიათ ცხოველს. მას კუდი არა ჰქონდა, ესხა მოწითალო ბალანი და თავისუფლად დადიოდა უკანა ფეხებით, რომელნიც რამდენადაც მოასწრო რაპაზონმა შეენიშნა, ძალიან წააგვდნენ ადამიანის ფეხებს.. ოთხელებიან ცხოველის ნაცვლად მეცნიერმა ნახა ორხელებიანი ცხოველი! ამან ძლიერ გააკვირა რაპაზონი. ცხადია,—გაიფიქრა მან—ჩემს წინ დგას ადამიანისა და მაიმუნის შემაერთებელი რგოლი, რომელსაც ამდენი ხანია ეძებდნენ მეცნიერები. მისი შეპრყობით რაპაზონის დიდება საუკუნოდ უზრუნველყოფილი იქნება.

რაპაზონმა დაიწყო მით, რომ თავის ახალ ნაცნობს მაიმუნის ენაზე უსურვა საღამო მშვიდობისა, რაზედაც მიიღო პასუხი, რომლის გადადარგმნა ასე შეიძლებოდა:

— შენ კი რა მხეცი ხარ, ნეტავი?

რაპაზონმა მოისურვა მთელი თავისი მშვენებით მოსჩვენებოდა მაიმუნს და რეფლექტორის სინათლით ტანი გაიბრწყინა. ყველაზე უწინ ალაპლაპდა მისი მოზრდილი მუცელი.

— ფუ! რა საძაგელი რამ არის!—წაიბუტბუტა თავისებურად მაიმუნმა.

— ეჰე, მეგობარო! როგორც სჩანს ძალიან ძნელია შენი დაკმაყოფილება,-სთქვა ნაწყენმა მეცნიერმა.—საქმე იმაშია, რომ ჩემი ტანისამოსი ცოტა შეილანძღა მგზავრობაში, თორემ შენ რომ გენახე ჩემს ფრაკში და ორდენებში... ეს ოხერი, მეც ვღირვარ რამედ... შენც შ ილოსა, კაი რამა ხარ, ერთი! ნეტავ ხომ არ ფიქრობ, რომ ჩემზე შნოიანი ხარ?

საბედნიეროდ მაიმუნმა ვერ გაიგო უკანასკნელი ფრაზა და განაგრძობდა მეცნიერის დასუნვ ს. რაპაზონმა შეატყო, რომ მაიმუნს შიში შეეპარა.

— ეხ, დაიღუპა საქმე!—გაიფიქრა მან,—ახლავე გაიქცევა. მაგრამ მაიმუნი მალე დამშვიდდა და ხელით ანიშნა მეცნიერს, რომ ის კარავიდან გამოსულიყო. ალბად მაიმუნს უფრო დაახლოვებით სურდა ადამიანის გაცნობა.

მაგრამ ეს მოპატიჟება მაინც და მაინც არ მოსწონებია რაპაზონს და მან თავის მხრით სთხოვა მაიმუნს შესულიყო მეორე კარავში. .მაიმუნმა პასუხის ნაცვლად ზურგი შეაქცია მეცნიერს, სტაცა ხელები მუხის ტოტს და თვალის დახამხამებაში მიიმალა დაბურულ მუხათა ხშირ ტოტებში.

— ახ, ეშმაკმა წაიღო შენი თავი, შე წყეულო ალმოხდა გულმოსულ რაპაზონს,-შენ ჩემზე ეშმაკი ყოფილხარ!

მეორე ღამით მაიმუნი კიდევ ეწვია სადარბაზოდ რაპაზონს მეცნიერმა ხელმეორედ სთხოვა შესულიყო კარავში, მაგრამ თხოვნამ ახლაც არ გასჭრა. მაშინ რაპაზონმა გადასწყვიტა სხვა საშვალებით დამეგობრებოდა მაიმუნს და შეეტყუებია ის ხანაფანგში.

რამდენიმე ღამოს მეცნიერმა ივახშმა თავის ახალი ნაცნობის თანადასწრებით. ის ფიქრობდა გაეღვივებინა მასში მსუნაგობა, რომლითაც ცნობილია ოთხხელებიანთა მოდგმა, და შემდეგ ესარგებლნა ამითი. მაიმუნი დიდის ინტერესით უცქერდა მეცნიერის ვახშმობას,სიამოვნებით შეექცეოდა თხილს, რომლითაც მას უმასპინძლდებოდა რაპაზონი, საზოგადოდ თანდათან უფრო ფამირიალულად ეპყრობოდა მას, მაგრამ იმ კარავში, სადაც ცალკე მისთვის გამზადებული იყო ვახშამი, ის უფრთხოდა შესვლას, თითქოს იცოდა, რომ რაპაზონს შეეძლო ერთი თითის მოწევით ჩაეკეტა იგი იმ კარავში.

რადგანაც არც ერთმა მისმა ხერხმა არ გასჭრა, რაპაზონმა ბოლოს მიმართა უფრო ენერგიულ ღონისძიებას—ის გამოვიდა კარავიდან და დაიწყო ვახშმობა გარეთ, სუფთა ჰაერზე. რამდენიმე დაჟინებითი მოპატიჟების შემდეგ მაიმუნი გაბედულად მიუჯდა მუხის ქვეშ გაშლილ სუფრას და მადიანად გაიზიარა მეცნიერთან ვახშამი.

ეს კი უკვე იყო გვარიანი გამარჯვება, რომელიც უსათუოდ უნდა გამოეყენებია მეცნიერს.

(დასასრული იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ. კვიჩხნარის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს სოფელ ჯიკვიანის მოქალაქეს*) დღეს კიჩხნარის ქალაქის მოურავის მოადგილეს ნიკიფორე გიორგისძე დოვლათაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩვენმდამი რწუნებულ ქალაქ კიჩანარის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სამი ცალი „ნაკადული“ 1911 წ. და ორი ცალი „ჯეჯილი“ 1902 წლისა.

კვიჩხნარის ქალაქის მოურავი სიმონ დ. დოვლათაშვილი.

P. S. ვსთხოვ რესპუბლიკის ყველა ჟურნალ გაზეთებს ზემო აღნიშნული ცნობა გადაბეჭდონ თავიანთ გამოცემებში.

ს. დ. დოვლათაშვილი.**)

ფოსტა.

ბესლიანს. თქვენ იწერებით „ჩემი წერილის შინაარსი ამოღებულია“ მამაცხონებულო, შინაარსი თუ ამოღებულია ჩვენ რაღას გვიგზავნიდით?

---

*) როგორ მოგწონთ: სოფლის მოქალაქე! ეშმაკი.

**) ადგილის უქონლობის გამო ეს წერილი შემოკლებულია 25 ჯერ. რედაქცია

უშინაარსოთ ხომ მოგეხსენებათ წერილი არ ვარგა.

ფრენიანოს. გარწმუნებთ, რომ „სცენა“ თუნდაც ის „გურული“ იყოს სხარტული და მოსწრებული სჯობია.

ი—ვილს. ჩვენს რედაქციას ძლიერ მოეწონა თქვენი გულახდილობა. თითქმის ყველა კორესპონდენტები ასე გვწერენ: „ჯერ ეს დაგვიბეჭდეთ და შემდეგ უკეთესებს გამოგიგზავნითო.“ ჩვენ მათი არ გვჯერა. თქვენ კი იწერებით:

„ეს შემისრულე მანემდის,
მიიღე ჩემგან ვალათა
და შემდეგისთვის მოგწერავ,
უფრო ვარესებს კვალათა.“

აი ეს კი გვჯერა.

ოთარას. ჩემო ძმაო ოთარაო,
ეგ რა საქმე მომხდარაო
შვილი ლექსებს იწერები
მამა ხომ არ მომკვდარაო.

შ. გ.—ელს. თქვენ იწერებით: „ნუ გაგიკვირდებათ, რომ წერილები ჯორის წიხლებსავით მოგაყარეთო“

მეგობარო, არც გაგვიკვირდება, არც გვეწყინება არც გვეტკინება.

მეუღლრო ცხოვრება.

ქ-ნი ანტანტა. გერმანიას იარაღი ავყარე... ოსმალეთი და ავსტრო-უნგრეთი დავარღვიე... რუსეთი დაიქცა... ვინ გაბედავს ეხლა ჩემი ხელის შეხებას.

ჟ 7/13

პროგრესი აღზრდის საქმეში.

ახალი პედაგოგი. როგორ მოგწონთ ეს ყმაწვილი: IV კლასის მოწაფე გახლავთ!

ძველი პედაგოგი. გასაოცარია, გასაოცარი! ეს ხომ ნამდვილი სასწაულია! დაუჯერებელი რამ არის ასეთი წარმატება რაღაც 2-3 წელიწადში?! როგორის ნაბიჯით მიდის წინ პედაგოგია!.. ასეთს შედეგებს ჩვენ 8 წლის განმავლობაში ძლივს ვაღწევდით, თქვენ კი რაღაც ორ წელიწადში! ის-ღა დამრჩენია, რომ მუხლი მოვიდრიკო ახალი სკოლის წინაშე!.. მაინც, როგორ ახერხებთ ასეთ მოკლე დროში ამ საოცარი შედეგის მიღწევას?

ახალი პედაგოგი. გიკვირთ განა? ჰა-ჰა-ჰა! საქმე პროგრამა გახლავთ, პროგრამა! თქვენ ძველ 37 საგანს ჩვენ მივუმატეთ რაღაც 19-ოდე საგანი... რუსული ,,ბილინები‘‘ პირველ კლასში გადმოვიტანეთ, ინტეგრალები და დიფერენციალები უნივერსიტეტში მოვსპეთ და სამაგიეროდ მოსამზადებელ კლასში შემოვიღეთ! დღეში 15 გაკვეთილი დავაწესეთ, კვირა-უქმეები ავკრძალეთ... სისტემა კი ისევ ძველი დავტოვეთ, ხელიც არ გვიხლია!

სახელმწიფო სტამბა.